

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2017 წლის 7 ივლისის სხდომის
ოქმი N 6

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის 7 ივლისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 29. კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში
 2. მიმდინარე საკითხები.
1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, მაგდა აღანიამ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“, ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში „ქიმია“, ცვლილება სამაგისტრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“.
- ა) მან აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებები:
- სპეციალობის სავალდებულო და ამავდროულად საფაკულტეტო სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსი „დაპროგრამების საფუძვლები“ (5 კრედიტი, საათების კვირეული განაწილება - 2ლექ/2პრაქ/1ლაბ) გაიყოს 2 სასწავლო კურსად: „დაპროგრამების საფუძვლები“ (5 კრედიტი, საათების კვირეული განაწილება - 1 ლექ/1პრაქ/1ლაბ) და „ალგორითმების საფუძვლები“ (5 კრედიტი, საათების კვირეული განაწილება - 2ლექ/2პრაქ.). აქედან გამომდინარე სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების საერთო რაოდენობა გახდეს 110 კრედიტი 105 კრედიტის ნაცვლად, ხოლო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები 25 კრედიტის ნაცვლად გახდეს 20 კრედიტი.
- ვისაც კურსი გავლილი აქვს 2017/2018 სასწავლო წლამდე, მათ არ მოეთხოვოთ „ალგორითმების“ საფუძვლების“ გავლა.
- მხოლოდ „დაპროგრამების საფუძვლები“ იქნება საფაკულტეტო სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსი.
- ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე სასწავლო კურსს „ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები“ წინაპირობად დაემატოს „ალგორითმების საფუძვლები“ მხოლოდ მათთვის, ვისაც 2017-2018 სასწავლო წლამდე არ ჰქონდა გავლილი „დაპროგრამების საფუძვლები“.

- ზემოაღნიშნული ცვლილებები შევა მაინორ პროგრამებშიც „კომპიუტერული მეცნიერება“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიები“. ორივე მაინორ პროგრამას დაემატება სავალდებულო სასწავლო კურსი „ალგორითმების საფუძვლები“, შესაბამისად ორივე პროგრამისათვის აღარ იქნება სავალდებულო ძირითადი პროგრამის არჩევითი საგნის გავლა.
- მე-8 სემესტრის ჯგუფური პროექტი (10 კრედიტი, საათების კვირეული განაწილება - 1 ლექ/1სემ) გაიყოს ორად: პროექტის წანამდვარი (მე-7 სემესტრი, 5 კრედიტი, საათების კვირეული განაწილება - 1ლექ/1სემ) და ჯგუფური პროექტი (მე-8 სემესტრი, 5 კრედიტი, საათების კვირეული განაწილება - 2 სემინარი). ჯგუფურ პროექტს წინაპირობად დაემატოს პროექტის წანამდვარი „პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიასთან ერთად“.

ბ)სამაგისტრო პროგრამაში “კომპიუტერული მეცნიერება”. გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებები

სამაგისტრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ შეიცვალოს პროგრამაზე მისაღები სპეციალობის გამოცდის საკითხები. (იხ.დანართი 1)

გ) საბაკალავრო პროგრამაში „ქიმია“ გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებები

- სპეციალობის სავალდებულო კურსის „ორიგანული ქიმია-2“ საათების კვირეული განაწილება 2ლექ/1სემ/1ლაზ შეიცვალოს კვირეული განაწილებით 2 ლექ/2ლაზ.

აზრი გამოთქვას: პროფესორმა მანანა ხაჩიძემ. მან ახსნა-განმარტება გააკეთა საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საგანმანათლებლო პროგრამებში წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში.

სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა აღნიშნა რომ სხდომას არ ესწრება საბჭოს მდივანი, ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი (ის მოგვიანებით შემოუერთდა სხდომას) და წამოაყენა წინადადება, რომ საბჭოს მდივნად, ერთჯერადად, არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი ლელა ალხაზიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საბჭოს მდივნად, ასოცირებული პროფესორის, ლელა ალხაზიშვილის კანდიდატურას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს მდივნად, ერთჯერადად, არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი ლელა ალხაზიშვილი.

2. მიმდინარე საკითხები.

ა) ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა რ.ინწვირველმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ შოთა სამსონიას განცხადება, სადაც იგი ითხოვს, რომ ფაკულტეტის საბჭომ განიხილოს ინსტიტუტის თანამშრომელთა განახლებული შემადგენლობის დამტკიცების საკითხი და, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სათანადო წერილით მიმართოს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს 04.08.2017-დან ინსტიტუტის თანამშრომლების შესაბამის თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე. განცხადებას თან ერთვის თანამშრომელთა სია მოვალეობების მითითებით (იხ. დანართი 2).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა განახლებული სიის დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა განახლებული სია. საბჭომ შუამდგომლობით მიმართოს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს 04.08.2017-დან ინსტიტუტის თანამშრომლების შესაბამის თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე.

ბ) დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომების სახელწოდებებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა რ.ინწვირველმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ფიზიკის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ ნ.შათაშვილის განცხადება დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. განცხადებას თან ახლავს ამონაწერები სადისერტაციო საბჭოს შესაბამისი სხდომის ოქმიდან (იხ. დანართი 3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი დოქტორანტებისთვის ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო ნაშრომების სახელწოდებების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფიზიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომების სახელწოდებები და სამეცნიერო ხელმძღვანელები:

- 1) დოქტორანტი **ტატიანა ტრეტიაკოვა:** სადისერტაციო ნაშრომის შედეგებიდან გამომდინარე დაზუსტდეს ძველი სათაური „ორგანული დანამატების გავლენა გლობულური ცილების სტაბილობასა და ფუნქციურ აქტივობაზე“ და შეიცვალოს შემდეგი სათაურით: „სხვადასხვა ტიპის კომპოზიტური გარემოს ზეგავლენის შესწავლა გლობულური ცილების და ზოგიერთი მოდელოური სისტემის სტაბილობასა და ფუნქციურ აქტივობაზე“. ტატიანა ტრეტიაკოვას ჩაეთვალოს სადოქტორო პროგრამა დასრულებულად და მიეცეს მსვლელობა მისი სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვას;
- 2) დოქტორანტი **ევა შეყილაძე:** სადისერტაციო ნაშრომის შედეგებიდან გამომდინარე დაზუსტდეს ძველი სათაური „წამლის გადამტანი ნანონაწილაკების და დნმ-ის

კომპლექსების შესწავლა სხვადასხვა გარემო პირობების თანაობისას“ და შეიცვალოს შემდეგი სათაურით: „DPPC და DPPA ლიპოსომებთან წარმოქმნილი სხვადასხვა ტიპის ლიგანდების კომპლექსების კალორიმეტრული, სპექტროფოტომეტრული და ციტომეტრული კვლევები“. ეკა შეყილაძეს ჩაეთვალოს სადოქტორო პროგრამა დასრულებულად და მიეცეს მსვლელობა მისი სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვას;

- 3) დოქტორანტი **ლევან ყორიაული**: სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს ემერიტუს პროფესორი რევაზ ზარიძე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდებად – „ბგერითი სიგნალების სპექტრალური ანალიზი და მისი პრაქტიკული გამოყენება“.

- გ) ეკოლოგიის სადისერტაციო საბჭოს შესახებ. საკითხზე ისაუბრა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს განსახილველად წარუდგინა ეკოლოგიის სადისერტაციო საბჭოს შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა დ. ძიძიგური, ლ. მაჭავარიანი, ლ. გახოკიძე, თ. ლეჟავამ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით შექმნილიყო კომისია . მან საბჭოს წევრებს შესთავაზა კანდიდატურების დასახელება. საბჭოს წევრებმა წამოაყენეს შემდეგი კანდიდატურები:

1. ასოცირებული პროფესორი რ. ხომერიკი
2. პროფესორი დ.ძიძიგური
3. პროფესორი შ.სამსონია
4. პროფესორი ნ.შათაშვილი
5. პროფესორი რ. გახოკიძე
6. პროფესორი ლ.მაჭავარიანი
7. ასოცირებული პროფესორი გ.ქუთელია
8. პროფესორი ა. გეგეჭკორი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კომისიის შემდეგი შემადგენლობით დამტკიცების საკითხი.

1. ასოცირებული პროფესორი რ. ხომერიკი (თავმჯდომარე)
2. პროფესორი დ.ძიძიგური
3. პროფესორი შ.სამსონია
4. პროფესორი ნ.შათაშვილი
5. პროფესორი რ. გახოკიძე
6. პროფესორი ლ.მაჭავარიანი
7. ასოცირებული პროფესორი გ.ქუთელია
8. პროფესორი ა. გეგეჭკორი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: შეიქმნას ეკოლოგიის სადისერტაციო საბჭოს საკითხის შემსწავლელი საფაკულტეტო კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით.

დ) საველე პრაქტიკის შესახებ. საკითხზე ისაუბრა გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტმა გიორგი მეშველიანმა. მან აღნიშნა, რომ შემცირდა საველე პრაქტიკის ხანგრძლივობა და თხოვნით მიმართა საბჭოს საველე პრაქტიკის დღეების გაზრდის შესახებ.

დაადგინეს: აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად. რეკომენდაცია მიეცეს სტუდენტებს, მიმართონ შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



მდივანი, ასოცირებული პროფესორი
ლელა ალხაზიშვილი

